## საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი

**საბაკალავრო ნაშრომის მიზანი.** საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რომელშიც უნდა აისახოს დარგობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომში უნდა შეძლოს თემის შესაბამისად მასალის დამუშავება.

**საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა**:

1. **თავფურცელი**

1) უნივერსიტეტის დასახელება;
2) საბაკალავრო თემის დასახელება;
3) სტუდენტის სახელი და გვარი;
4) ფაკულტეტის დასახელება;
5) ხელმძღვანელის სახელი და გვარი აკადემიური ხარისხის მითითებით;
6) ქალაქი;
7) წელი.

2. **სარჩევი**

სარჩევი მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის ანოტაციის, ტექსტის, გამოყენებული ლიტერატურის, დანართების გვერდების ნომრებს;

3. **ანოტაცია**

ანოტაცია ასახავს ნაშრომის ძირითად მიზანსა და მოკლე შინაარსს. ანოტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ანოტაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.

4. **შესავალი**

შესავალი ასახავს თემის აქტუალობას, დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. შესავლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 გვერდს.

5. **ტექსტის ძირითადი ნაწილი**

ტექსტის ძირითადი ნაწილი შეიძლება შედგებოდეს თავების, პარაგრაფების და ქვეპარაგრაფებისაგან.

ტექსტის ძირითად ნაწილში ასახული უნდა იყოს:

1) ლიტერატურის მიმოხილვა (არ უნდა აღემატებოდეს საერთო მოცულობის 1/3-ს).
2) მეთოდები;
3) კვლევის შედეგები და მათი განხილვა.

ტექსტის ძირითადი ნაწილი აკრეფილი უნდა იყოს A4 ფორმატის სტანდარტული ფურცელზე;
შრიფტი - sylfaen, შრიფტის ზომა - 11;
საილუსტრაციო მასალები შეიძლება ინტეგრირებული იყოს როგორც ტექსტის ძირითად ნაწილში ასევე მოწოდებულ იქნეს დანართების სახით.

6. **დასკვნა**

დასკვნა საბაკალავრო ნაშრომის შედეგების მოკლე ამსახველი ნაწილია. იგი მოკლედ უნდა პასუხობდეს ნაშრომში დასახულ მიზნებსა და ამოცანებს.

7. **გამოყენებული ლიტერატურა**
ლიტერატურა წარმოდგენილი უნდა იყოს უნდა იქნეს ნაშრომში მოცემული განხილვის მიხედვით ან ანბანური თანმიმდევრობით. ჩამონათვალში ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, შემდეგ - უცხო ენებზე.

8. **დანართები** (არსებობის შემთხვევაში)

აკინძული საბაკალავრო ნაშრომი დაცვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს 1 ეგზემპლიარად, ხოლო ელექტრონული ვერსია (PDF ან doc ფორმატი) აიტვირთოს სტუდენტური კონფერენციის ვებ გვერდზე.